

ნენსკრაპესის მშენებლობის შემდეგ დენის ტარიფი შესაძლოა, გასამმაგდეს

 rustavi2.ge/ka/news/135478

ნენსკრაპესის მშენებლობის შემდეგ მოსახლეობას შესაძლოა, ელექტროენერჯის გადასახადი 20 თეთრზე მეტით გაუძვირდეს. „კურიერმა“ მოიპოვა სახელმწიფოსა და ნენსკრაპესის მშენებელ კომპანიას გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც წერია, რომ სახელმწიფო გამომუშავებულ დენს ერთ კილოვატ საათს 12 ცენტად იყიდის, ანუ, დაახლოებით, 33 თეთრად.

კორეულ სახელმწიფო ენერჯოკომპანიას, საპარტნიორო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში წერია, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ნენსკრაპესის მშენებლობის შემდეგ ჰირდროელექტროსაგურისგან ერთი კილოვატი საათი ელექტროენერჯია 9 ცენტად შეიძინოს, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული 7.87 თეთრის ნაცვლად მხოლოდ ელექტროენერჯის გამომუშავების ფასი 25 თეთრამდე გაიზრდება. ხელშეკრულებას, რომელიც მოსახლეობისთვის დიდი ზიანის მომტანი იქნება ხელს ენერჯეტიკის მაშინდელი მინისტრი კახა კალაძე და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა აწერენ.

ენერჯეტიკოს ვახტანგ ბარქუას ანალიზით, განსაკუთრებით შემამფოთებელი კონტრაქტში ჩაწერილი ფაქტია, რომლის თანახმადაც, ელექტროენერჯის საწყისი ფასი 9 ცენტი ანუ 25 თეთრია და რამდენიმე წელში საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იქნება, დენი 33 თეთრად იყიდოს.

კახა კალაძე ამტკიცებს, რომ დენი არ გაძვირდება, თუმცა უცნობია, ვინ დაფარავს სხვაობას. ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, სხვაობის სუბსიდირება ბიუჯეტიდან მოხდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვაობა ისევ ხალხის ფულით დაიფარება.

ნენსკრაპესის მშენებელ კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება რამდენიმე ნაწილისგან შედგება. გარემოს დამცველები, ვინც დოკუმენტი შეისწავლა, ამბობენ, რომ დოკუმენტი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს აზარალებს. ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, ნენსკრაპესის მფლობელებს ყველა რისკი დაუზღვიოს, მათ შორის კომპენსაცია მისცეს თუ მდინარეში წყლის დონე დაბალი იქნება და სადგური საჭირო ენერჯიას ვერ გამოიმუშავებს.

მთავრობა ამტკიცებს, რომ ელექტროენერჯიას იმპორტზე გაიტანს. თუმცა გაუგებარია, რომელი ქვეყანა იყიდის საქართველოსგან ორჯერ უფრო ძვირად ნენსკრაპესის მიერ ნაწარმოებ 12 ცენტთან დენს, როდესაც ექსპორტზე ელექტროენერჯის მაქსიმალური ფასი 5 ცენტს არ აღემატება.

ხელშეკრულების მიხედვით, სახელმწიფომ პროექტი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის წარდგენისგან გაათავისუფლა. ანუ 280 მეგავატიანი უბარმაზარი ჰესი ისე აშენდება, რომ კომპანია გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე არც კი იმსჯელებს. ზიანი კი, სპეციალისტების შეფასებით, კატასტროფული იქნება.

ადგილზე სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ინვესტორ კომპანიას სახელმწიფომ სასათბურე პირობები უკვე შეუქმნა. ამავე ხელშეკრულებაში წერია, რომ ტყის მასივი, რომელიც ჰესს აკრავს, 700 ჰექტარზე მეტი მთავრობამ კორეის სახელმწიფო კომპანიას და ბიძინა ივანიშვილის საპარტნიორო ფონდს ერთ ლარად გადასცა. გარდა ამისა გაათავისუფლა ქონების გადასახადიდანაც.